რა ღონისძიებები უნდა გატარდეს უკანონო ფარული ჩანაწერების შედეგად მოპოვებულ მასალასთან დაკავშირებით

წინასწარი რეკომენდაცია

თომას ჰამარბერგი

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებში

20 ივლისი, 2013 წელი

შესავალი

2013 წლის 13 ივლისს თბილისში შეხვედრა გამართა კომისიამ, რომელიც გასულ წლებში საქართველოში განხორციელებული უკანონო ფარული ჩანაწერების შედეგად მოპოვებული მასალის გამოყენების კონტროლის მიზნით შეიქმნა. ამ შეხვედრაზე მეც გახლდით მიწვეული. შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში დაცული ვიდეო და აუდიო ფირების რაოდენობასა და შინაარსის თაობაზე ინფორმაციით წარდგნენ მთავარი პროკურორი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. დისკუსიის მთავარი თემა პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ჩანაწერები იყო (უმთავრესად სექსუალური შინაარსის), თუმცა საუბარი სხვა სახის უკანონო ჩანაწერებსაც შეეხო.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ასპექტზე: პირველი, რომ დაცული უნდა იყოს იმ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელთა მიმართაც ხორციელდებოდა ფარული ჩაწერები და რომელთა ინტერესებშიცაა, რომ მასალა

განადგურდეს და არ მოხდეს მისი გაჟონვა ან სხვა რაიმე საშუალებით გავრცელება; მეორე, რომ ჩანაწერების მოპოვება მოხდა სერიოზული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შედეგად და რომ მათი, ან თუნდაც მათი ნაწილის, არსებობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად სასამართლოში ამ უკანონო ქმედებებზე პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ.

შეხვედრის დასასრულს მთხოვეს, რჩევა მიმეცა იმის შესახებ, თუ რა მესახება ყველაზე სწორ გზად ამ მასალებთან მოპყრობის თვალსაზრისით. გაგებით შეხვდნენ იმას, რომ საკუთარი აზრის გამოთქმამდე გარკვეული კონსულტაციები უნდა გამევლო ექსპერტებთან, რის საფუძველზეც ჩამოვაყალიბებდი ჩემს წინადადებებს.

ბედმა გამიღიმა და შესაძლებლობა მომეცა ორ უაღრესად კომპეტენტურ ექსპერტთან შემეჯერებინა აზრები. ერთ-ერთი მათგანი (იოჰან ჰირშფელტი) ვენეციის კომისიის წევრი და ავტორიტეტული იურისტ-ექსპერტია შვედეთში, რომელსაც წლების განმავლობაში ეკავა მაღალი რანგის მოსამართლის თანამდებობა და თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო და სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე კომისიებს. მეორე ექსპერტი (დოუვეკ ორფი) ლონდონის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის პროფესორია. მას არაერთხელ გაუწევია დახმარება ევროპის საბჭოსთვის რიგ საკითხზე, მათ შორის მონაცემთა დაცვის საკითხებზე. ორივე ექსპერტთან არაფორმალური სატელეფონო საუბრისას დეტალურად განვიხილე ზემოთ აღნიშნული საკითხები. მათთან აზთა გაცვლა დამეხმარა საკუთარი პოზიციების გარკვევაში, მაგრამ ისინი არამც და არამც არ არიან პასუხისმგებელნი მათი აზრების ჩემეულ ინტერპრეტაციაზე და ჩემს დასკვნებზე.

საკითხის ისტორია

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ 17 000-ზე მეტი ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერია აღმოჩენილი შსს-ში, ან მიტანილი იქ მას შემდეგ, რაც სამთავრობო სისტემის სხვა დანაყოფებში იქნა ნაპოვნი, მათ შორის ერთ-ერთ ციხეში (ქსნის ციხე). წამების სცენების ამსახველი ვიდეო მასალა იქნა აღმოჩენილი ასევე საიდუმლო საცავებში იარაღთან, ფაილებთან და სხვა მასალასთან ერთად.

უკანონო ჩანაწერები მათი შინაარსის მიხედვით სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- **სექსუალური ურთიერთობების ამსახველი ჩანაწერები**. ცნობილია, რომ მათი რაოდენობა 94-ია და რომ ისინი ასახავს ერთსქესიანთა შორის სქესობრივ აქტებს, ასევე სქესობრივ აქტებს როგორც დაუქორწინებელ, ისე დაქორწინებულ წყვილებს შორის. ეს ჩანაწერები, როგორც ჩანს, იმ მიზნით კეთდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საჭიროებისამებრ მათი გამოყენება შანტაჟის მიზნით.
- **პოლიტიკურ პირებთან შეხვედრების, აზრთა გაცვლისა და საუბრების ამსახველი ჩანაწერები.** ჩანაწერთა უმეტესობა აღიშნულ თემას ეხება. ფარული ჩანაწერების სამიზნეს პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები წარმოადგენდნენ. მათ შორის იყვნენ ასევე დაუდგენელი პირებიც. რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული ჩანაწერები, ბოლომდე ცხადი არ არის; შესაძლოა, ისინი გამიზნული იყო პოლიტიკური ან სხვა სახის ურთიერთობის დოკუმენტირებისათვის, რომელიც შეიძლებოდა, აღქმულიყო როგორც უხერხული და, შესაბამისად, შესაძლებელი იქნებოდა მისი შანტაჟისათვის გამოყენება.
- **წამების ამსახველი ვიდეო ფირები**, მათ შორის მამაკაცთა გაუპატიურების კადრები გარკვეული ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ ჩანაწერების ერთ-ერთი მიზანი, სავარაუდოდ, სხვა პატიმართა დაშინება და მათთვის იმაზე მინიშნება იყო, თუ რა ელოდათ იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებასთან არ ითანამშრომლებდნენ. ამგვარ

ვიდეო ჩანაწერთა რაოდენობა 13 ივლისის შეხვედრაზე დაზუსტებული არ ყოფილა. ზოგიერთი აღმოჩენილი საიდუმლო საცავი არ გახსნილა.

შსს-ში ამჟამად დაცული მასალა, შესაძლოა, არ შეიცავდეს ყველა შესრულებულ და არსებულ ჩანაწერს. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მასალა განადგურდა იმ პირთა მიერ, ვინც პასუხს აგებს მათ არსებობაზე. მასალების აღმოჩენა მხოლოდ ერთ ციხეში მოხდა მაშინ, როცა სასჯელაღსრულების სისტემაში გავრცელებული წამების შესახებ ინფორმაცია ყველა ციხის პატიმრებისგან მოდიოდა. ზოგიერთი ჩანაწერი, შესაძლოა, განადგურდა. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მათგანი გატანილია და იმ პირთა მიერ ინახება, რომლებსაც შესაბამის ფაილებზე ხელი მიუწვდებოდათ. არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ ჩანაწერებმა უკვე ,,გაჟონა“, მათ შორის ისეთებმაც, რომლებშიც სექსუალური კავშირია ასახული.

ზემოაღნიშნული მთავარი პროკურორისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ფაქტების ჩემეულ შეფასებას წარმოადგენს. მე შესაძლებლობა არ მქონია, თავად გადამემოწმებინა ეს ცნობები. ქვემოთ მოყვანილი ჩემი რეკომენდაციები იმ ვარაუდზეა აგებული, რომ ზემოთ აღწერილი სურათი სწორია.

გასათვალისწინებელი პრინციპები

ჩადენილია რიგი სერიოზული დანაშაულები, რომლებზეც რეაგირებაა საჭირო. გასატარებელია ზომები, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი უკანონო ქმედებები. ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგნენ. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ამ დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლნი დაცულნი იყვნენ შემდგომში მათი ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შელახვისაგან.

უნდა არსებობდეს მკაფიო რეგულაციები ყველა სახის ტექნიკური თუ ფიზიკური თვალთვალი. მოსამართლე მსგავს ქმედებებზე თანხმობას უნდა იძლეოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ღონისძიება აუცილებლობას წარმოადგენს სასამართლო წარმოებაში მყოფ საქმეში სიცხადის შეტანისათვის. პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ამგვარი ზომები, უფლებამოსილია, ღონისძიების გატარების შემდეგ იყოს ინფორმირებული ამის თაობაზე (თუმცა განსაკუთრებულ ვითარებაში შესაძლებელია, დადგინდეს გამონაკლისები დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ).

სხვა სიტყვებით, დაუშვებელია ფიზიკური პირების მიმართ ფარული ჩანაწერების განხორციელებაზე გადაწყვეტილების გამოტანა ან მსგავსი ქმედების ჩატარება პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა რომელიმე ორგანოს მიერ კანონიერი საფუძვლის და სასამართლო მონაწილეობის გარეშე.

ცნობილია, რომ სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს სისტემები, რომლებიც უშიშროების ორგანოებს თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებას აძლევს, განახორციელოს „მონაცემთა მოპოვება“ (“data mining”) თითქმის ყველა სახის ელექტონული კომუნიკაციის საშუალებებიდან. მე ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოშიც არსებობს სისტემა, რომლის მეშვეობითაც შსს-ს ქვეყანაში მოქმედი ტელეკომუნიკაციების პროვაიდერების საშუალებით ავტომატურ რეჟიმში მიუწვდება ხელი ყველა სატელეფონო ზარზე, ელექტრონულ გზავნილზე თუ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაზე. **მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროში განხორციელებული ქმედებები კანონით რეგულირდებოდეს და დემოკრატიულ სასამართლო კონტროლს ექვემდებარებოდეს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას მთავრობა, არამხოლოდ იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტი.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცალსახად აყალიბებს *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელობას* - ყველა ადამიანი სარგებლობს უფლებით, დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (ევროკონვენციის მე-8 მუხლი). მონაცემთა დაცვა პრიორიტეტს იძენს საერთაშორისო დისკურსში ადამიანის უფლებათა კუთხით.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანეს უფლებადაა აღიარებული, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი დარღვევები ისჯებოდეს. დილემა, რომლის წინაშეც კომისია დგას ამჟამად, არის პოტენციური კონფლიქტი, ერთი მხრივ, პირადი ცხოვრების ამსახველი და ღირსების შემლახავი ფარული ჩანაწერების დაუყოვნებლივ განადგურების საჭირობასა და, მეორე მხრივ, ფარულ ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირების მიმართ ბრალდების წასაყენებლად მტკიცებულებების არსებობის უზრუნველყოფას შორის.

კომისია

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო კომისია, რომელიც ზემოაღნიშნული რთული და მგრძნობიარე საკითხების მოგვარებაზე იმსჯელებდა. კომისიის შემადგენლობაში შედიან: მინისტრი, მთავარი პროკურორი, სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები. **შეთანხმება იქნა მიღწეული იმ საკიხთან დაკავშირებითაც, რომ კომისიის მუშაობაში ასევე ჩაერთვებოდა მონაცემთა დაცვის ახლად დანიშნული ინსპექტორი.**

პირველ რიგში მნიშვნელოვანია ოფიციალურად გაფორმდეს კომისიის მანდატი, შემადგენლობა და მუშაობის მეთოდები. ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებზე

რეაგირება სტრუქტურულ მიდგომას საჭიროებს. ალბათ მიზანშეწონილი იქნებოდა, მთავრობას ოფიციალური გადაწყვეტილება გამოეტანა კომისიის უფლებამოსილებისა და შემადგენლობის თაობაზე.

კომისიის შეხვედრები წინდაწინ უნდა იყოს მომზადებული და გაწერილი. შესაძლებელია, შეხვედრებს თანათავმჯდომარეობდნენ მინისტრი და მთავარი პროკურორი და დგებოდეს შეთანხმებათა ოქმები. გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება, დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს - მხოლოდ კომისიის წევრთა ზედამხედველობის ქვეშ. კომისიის მუშაობა გამჭვირვალე უნდა იყოს (რა თქმა უნდა, ისე, რომ არ მოხდეს კონფიდენციალურობის შელახვა).

დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება ერთ უმთავრეს საკითხზე: დასაგდენია, შევა თუ არა კომისიის კომპეტენციაში სამივე კატეგორიის უკანონო ჩანაწერებთან დაკავშირებით არსებული საკითხების დარეგულირება, თუ კომისია მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველ ჩანაწერებზე იმსჯელებს. **ჩემი რჩევა უფრო ფართო უფლებამოსილების მინიჭება იქნებოდა.**

რა ზომები უნდა იქნას გატარებული ამ ეტაბზე არქივთან დაკავშირებით

შსს-ში შექმნილია არქივი, რომელიც უკანონო ჩანაწერებს შეიცავს. ამ არქივთან დაკავშირებით ისეთი ზომების გატარებაა საჭირო, რომ გამოირიცხოს მასში არსებული ნებისმიერი მასალის არასათანადო პირის ხელში მოხვედრა. მკაცრად უნდა იქნას დაცული კონფიდენციალურობა.

ამისათვის აუცილებელია, დაწესებულ იქნას სრული კონტროლი იმაზე, თუ ვის მიუწვდება ხელი არქივზე. ხელმისაწვდომობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული და არქივის გამოყენების ყველა შემთხვევა სპეციალურ ჟურნალში უნდა ფიქსირდებოდეს.

ერთ-ერთი მრჩევლის წინადადებაა ორმაგი საკეტის სისტემის დანერგვა, როდესაც ორი გასაღები იქნება ორი განსხვავებული პირის ხელთ. **კატეგორიულად დაუშვებელია არქივში დაცული მასალის მხოლოდ ერთი პირისთვის მინდობა.**

კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით შესაძლებელია, მიღებულ იქნას სხვა პრაქტიკული გადაწყვეტილებები. ამ მხრივ მინდა, შემოგთავაზოთ, მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებად განისაზღვროს არქივის ჰერმეტულობის საკითხისადმი მკაცრი მიდგომის შემუშავება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა იმის უზრუნველყოფა, რომ მოხდეს არქივის გარეთ არსებული ნებისმიერი ამ სახის მასალის არქივში თავმოყრა. რამდენადაც ვიცი, პარლამენტში შესულია წინადადება, ყველა ასეთი ჩანაწერი ერთი ან ორი თვის ვადაში გადაეცეს შსს-ს, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ამგვარი მასალის კერძო პირის მიერ ფლობა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებას დაექვემდებაროს. ეს კარგი მიდგომაა.

არქივში დაცული მასალის ანალიზი

კომისიას ევალება:

- უზრუნველყოს იმ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, რომელთა მიმართაც მოხდა ფარული ჩაწერის განხორციელება.
- შეძლებისდაგვარად შეაგროვოს მტკიცებულებები, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულზე პასუხიმგებელ პირთა მიმართ სამართლებრივი დევნის აღძვრისათვისაა საჭირო.
- მოამზადოს ყველა დანაშაულებრივი ქმედების სრულყოფილი აღწერა ამ საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ზუსტი და მიუკერძოებელი ქრონოლოგიური

აღრიცხვის მიზნით, მათ შორის თავად კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებებისაც, რათა მაქსიმალურად გამოსწორდეს მიყენებული ზიანი.

ამისათვის საჭირო იქნება საარქივო მასალის დეტალური შესწავლა. უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად შესაძლოა, საჭირო გახდეს ზემოხსენებული ფართო კატეგორიზაციის დეტალიზება და მისი როგორც მინიმუმ ქვეკატეგორიებად დაყოფა.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ორი საგანგებო კატეგორიის ანალიზს: პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ჩანაწერებს და წამების ამსახველ ჩანაწერებს. ორსავე შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნას ზომები, რათა მასალის ანალიზის დროს დაფარულ იქნეს იმ პირთა ვინაობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა ფარული ჩაწერა.

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების განადგურება

შინაარსის განსაკუთრებულობის გამო, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები უდიდესი სიფრთხილით მოპყრობას საჭიროებს. ერთადერთი მიზანი, რომელსაც აღნიშნული შემთხვევების განხილვა უნდა ემსახურებოდეს, იმის უზრუნველყოფაა, რომ არ დაიკარგოს სასამართლო პროცესზე გამოსაყენებული ინფორმაცია.

მასალა, რომელიც არ იძლევა რაიმე ინფორმაციას დანაშაულის ჩამდენთა ან გარემოებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა პასუხისმგებლობის საკითხზე გამოძიებას, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს (მას შემდეგ, რაც მოხდება მათი არსებობისა და ფაქტობრივი შინაარსის დამოწმება).

კომისიის წევრებს - მათ შორის სახალხო დამცველს, მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს - მინიჭებული ჰქონდეთ განსაკუთრებული ფუნქცია იმის დასამოწმებლად, რომ განადგურებული მასალა

ფაქტობრივად მართლაც არსებობდა. ამ მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური დოკუმენტაცია, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის წევრები.

რამდენადაც ვიცი, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამნისტიის შესახებ შესაძლებელია, ინტერპრეტირებულ იქნას ისე, რომ ისინი უკანონო ფარულ ჩანაწერებზეც გავრცელდეს - თუმცა არა იმ შემთხვევებში, თუ ამგვარი ქმედებები *ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად* კვალიფიცირდება. თუ ეს სწორი ინტერპრეტაციაა, მაშინ ის გულისხმობს იმის მიზანშეწონილობას, რომ ყურადღება გამახვილდეს იმ საკითხზე, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი, *ვისგან მოდიოდა და ვინ გასცემდა ბრძანებებს* უკანონო ფარული ჩანაწერების წარმოებაზე და არა იმაზე, თუ ვინ აღასრულებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს. ეს, თავის მხრივ, ცალკეულ ფირთან დაკავშირებით სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგვეხმარება, რაც მასალის განადგურების პროცესს დააჩქარებს.

სასამართლო განხილვისას დასაშვებად ცნობს თუ არა სასამართლო განადგურებული ჩანაწერების ფაქტობრივად არსებობის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტს? როგორც ჩანს, ეს რამდენიმე ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის დამადასტურებელი დოკუმენტის ხასიათსა და ხარისხზე და ქვეყანაში დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე. თუ დაცვის მხარე ეჭვქვეშ დააყენებს ამგვარი დოკუმენტის მტკიცებულებით ძალას, ასეთ შემთხვევაში პროკურორს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ექნება, სასამართლო პროცესზე მოწმის სახით მოიწვიოს კომისიის წევრები.

<u>რადგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ფუნდამენტური უფლებაა, მართებულად მესახება, ჩანაწერები კომისიაზე განხილვის შემდეგ დაყოვნებლივ განადგურდეს ისე, რომ არ დაველოდოთ შესაძლო სასამართლო პროცესებს.</u>

<u>დასაშვებია ის ვარიანტიც, რომ სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულების ნიმუშის სახით შენარჩუნდეს ერთი ჩანაწერი - თუ უზრუნველყოფილი იქნება იმ პირის ანონიმურობა, რომლის მიმართაც განხორციელდა ფარული ჩაწერა.</u>

უნდა ეცნობოს თუ არა იმ პირს, ვის მიმართაც განხორციელდა ფარული ჩაწერა, აღნიშნული ფაქტის შესახებ? აქ მუშობს ის პრინციპი, რომ ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს წარსულში მომხდარი ამ უკანონობის შესახებ. მეორე მხრივ, შესაძლოა, არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ, არ იცოდნენ ამგვარი რამ - ამ პოზიციასაც პატივი უნდა ვცეთ. საბოლოოდ შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ იმათ, ვისაც სურს, შეამოწმოს, იმყოფებოდნენ თუ არა უკანონო თვალთვალის ქვეშ, მოთხოვნის შემთხვევაში მიეცეთ სრული ინფორმაცია.

წამების ამსახველი ვიდეო მასალა

სათანადო განხილვას საჭიროებს წამების ამსახველი ვიდეო მასალა (მათ შორის მამაკაცთა გაუპატიურების ფაქტები ინსტრუმენტების გამოყენებით), რათა მოხდეს შესაძლო მტკიცებულებითი მასალის ამოღება. ისევ და ისევ მნიშვნელოვანია, დაცული იქნას წამების მსხვერპლის ვინაობა.

ჩემი რჩევაა, შეწყდეს ამ სახის ვიდეო მასალის საზოგადოებისათვის ჩვენება. ამ მასალის არსებობა უკვე საჯაროდაა ცნობილი და ტელეეთერით მათ ჩვენებას არანაირი დამატებითი ღირებულება არ აქვს. ნაცვლად ამისა, აქცენტი ახლა უნდა კეთდებოდეს შესაბამისი პროცედურების შემუშავებაზე იმ პირთა წინააღმდეგ, ვისაც ამ ჩანაწერების განხორციელებასა და მათში ასახულ სასტიკ დანაშაულებზე ეკისრება პასუხისმგებლობა. ასევე არ უნდა მოხდეს ფირებზე დაფიქსირებულ წამებაში

მონაწილე პირთა ვინაობის ფართოდ გასაჯაროება, ყოველ შემთხვევაში ვიდრე მათი ბრალეულობა არ დამტკიცდება სამართლიანი სასამართლოს გზით.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვისგან მოდიოდა ფარული ჩაწერების ინიციატივა ისევე, როგორც ამასთან დაკავშირებული სხვა ყურადსაღები გაემოებები, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს კომისიის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში.

სხვა სახის ჩანაწერები

მე დანამდვილებით არაფერი ვიცი იმ პოლიტიკური შეხვედრებისა და საუბრების ამსახველი ფარული ჩანაწერების შინაარსის თაობაზე, რომლებშიც ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა პირები ფიგურირებენ. მე შემიძლია, კომისიას ვურჩიო მხოლოდ ის, რომ მათი განიხილვა ზემოთაღნიშნული სულისკვეთებით წარიმართოს.

დასკვნები და რეკომენდაციები

უკანონო ჩანაწერების არსებობა უკიდურესად მძიმე დანაშაულზე მიუთითებს და მოითხოვს რეაგირებას როგორც სასამართლოს, ისე პოლიტიკოსების მხრიდან. ჩანაწერების განხორციელება ყოველმხრივ დანაშაულებრივი იყო: ეს შეეხება როგორც ვიდეო ან აუდიო ჩაწერის დაგეგმვას, ასევე შესაბამისი დავალების მიცემასა და რეალური ქმედებების განხორციელებას. აუცილებელია ამგვარი ჩანაწერების ფლობის კრიმინალიზაცია (რა თქმა უნდა, გარდა იმ ნებადართული საინფორმაციო არქივის შედგენისა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი). დანაშაულებრივ ქმედებად უნდა იქნას მიჩნეული იმ ჩანაწერების გავრცელებაც, რომლებიც პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის უფლებას არღვევს. ის, რომ ამ ჩანაწერების გამოყენება რაიმეგვარი შანტაჟის მიზნით მძიმე დანაშაულად უნდა იქნას აღქმული, სრულიად აშკარაა.

განხორციელებული ზომები ყველა იმ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უნდა ისახავდეს მიზნად, რომლებიც უკანონო თვალთვალის ობიექტები გახდნენ. ამავე დროს მნიშვნელოვანია, შეგროვდეს მტკიცებულებები დამნაშავე პირთა მიმართ სამართლებრივი ქმედებების გასამყარებლად.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ამ ორი მიზნის გაერთიანების საფუძველზე წარიმართოს ჩანაწერების სათანადო, სწრაფი და ეფექტური შესწავლა/განხილვა. აღნიშნული განხილვის პროცედურები კომისიის მიერ უნდა განისაზღვროს, რათა მის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, შეამოწმონ როგორც განხილვის ჩატარების მეთოდი, ისე მისი შედეგები. **გონივრული იქნებოდა, თუ საკუთრივ შესწავლაში უშულო მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების ერთი წარმომადგენელი მაინც ან მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.**

კომისიის მიერ მასალის განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ნიადაგი მომზადდეს ჩანაწერების განადგურებისათვის. განადგურებული ჩანაწერების არსებობის ფაქტს ხელმოწერილი საგანგებო დოკუმენტით დაადასტურებს კომისია.

განხილვის შედეგად შესაძლოა მოხდეს იმ ელემენტების იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ძიებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას. თუმცა ამგვარი ქმედებები არ უნდა არღვევდეს და საშიშროებას არ უნდა უქმნიდეს ცალკეული დაზარალებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც გამოიკვეთება პირდაპირი კონფლიქტი ამ ორ

ინტერესს შორის, განხილვისას განმსაზღვრელი უნდა იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ყველა იმ ჩანაწერის დაუყოვნებლივ განადგურება, რომელსაც კავშირი აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევასთან, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერების შემცველი არქივის ადმინისტრირებისას დაცული იქნას კონფიდენციალურობა, ხოლო მასში დაცულ მასალაზე ხელმისაწვდომობა მკაცრად იზღუდებოდეს და რეგულირდებოდეს.

ეს მიდგომა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კომისიის წევრებს, რის გამოც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კომისიას ჰქონდეს მთავრობის მიერ დამტკიცებული მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანა. ამ პროცესში მიზანშეწონილია, განხილულ იქნას კომისიის შემადგენლობაში დამატებით ექსპერტების ჩართვის საკითხი. ყურადღებას იმსახურებს ის მოსაზრებაც, რომ მასში ასევე შევიდეს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.

საბოლოოდ:

1. მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ფარული ჩანაწერების გამოყენებაზე კონტროლის მიზნით შექმნილი კომისიის *მანდატი* და *შემადგენლობა.*
2. კომისიამ უნდა განსაზღვროს მისი წევრების როლი, დაადგინოს სამუშაო მეთოდები და შეიმუშაოს პრიორიტეტები. რეკომენდებულია, კომისიამ ***პირველი რიგის პრიორიტეტად*** დაისახოს პიადი ცხოვრების ინტიმური სცენების ამსახველ ვიდეო მასალასა და წამების ამსახველ ვიდეო მასალასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვა.

3. კომისიის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს შსს-ში არსებული უკანონო ჩანაწერების შემცველი *არქივის მართვის* წესების დადგენა და გატარება. დაცული უნდა იყოს ამ მასალათა კონფიდენციალურობა. საარქივო მასალაზე წვდომა მაქსიმალურად უნდა იზღუდებოდეს და რეგულირდებოდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის რაიმე სახით გაჟონვის საშიშროება.
4. კომისიის წევრები უნდა შეთანხმდნენ, რომ კომისიის მუშაობაში ცენტრალური ადგილი *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას* უნდა ეკავოს და რომ ის ჩანაწერები, რომლებიც ამ უფლებას არღვევს, უნდა განადგურდეს.
5. იმისათვის, რომ მომზადდეს ვიდეო მასალის განადგურების პროცედურა (ძირითადი ფაქტების რეგისტრაციის გზით) და დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა რაიმე მასალის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეზე, მიზანშეწონილია, ჩატარდეს ამ ჩანაწერების *სწრაფი და ეფექტური განხილვა.*
6. კომისიამ უნდა შეიმუშაოს მასალის განხილვის პროცედურები იმგვარად, რომ ჯეროვნად დაცული იქნეს კონფიდენციალურობა და კომისიას მიეცეს საფუძველი, ამ პროცედურასთან დაკავშირებით, შეადგინოს საბოლოო ოქმი. ოქმი შემდგომში საფუძვლად დაედებოდა დოკუმენტს, რომელიც *დაადასტურებდა*, რომ განადგურებული მასალები ნამდვილად არსებობდა.
7. <u>შესაძლებელია ერთი ჩანაწერის ნიმუშის სახით შენარჩუნება სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით (რის შემდგომაც ის უნდა განადგურდეს) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სრულიად აუცილებლად მიიჩნევა როგორც მტკიცებულებითი მასალა და მხოლოდ იმ პირობით, თუ იარსებებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სრული გარანტიები. მაგრამ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და პროკურატურის ინტერესებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა პირველს უნდა მიენიჭოს.</u>

8. ასევე უნდა მოხდეს *წამების* ამსახველი ვიდეო მასალის ანალიზი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსხვერპლთა ვინაობის, ისევე როგორც დანაშაულში მონაწილე პირთა ვინაობის დაცვა მათი ბრალეულობის სასამართლოს მიერ დადგენამდე.
9. მასალის შემდგომი კატეგორიზაციისათვის მსგავს ანალიზს უნდა დაექვემდებაროს *სხვა დანარჩენი ჩანაწერებიც.*
10. კომისია *უფლებამოსილი უნდა იყოს, უკანონო თვალთვალის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს* იმ პირებს, ვის მიმართაც განხორციელდა ფარული ჩაწერები.
11. კომისია გამჭვირვალე რეჟიმში უნდა მუშაობდეს იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც რაიმე საშიშროება შეიძლება წარმოიშვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შელახვის თვალსაზრისით ან სასამართლო პროცედურების მოსამზადებელი სამუშაოსათვის ხელშემშლელი გარემოების არსებობის შემთხვევაში. კომისია რეგულარულად უნდა ასაჯაროებდეს ფართო ინტერესის მომცველ ყოველ მის ნაბიჯს.
12. კომისიის საბოლოო ანგარიში დეტალურად უნდა აღწერდეს მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს; ის ასევე უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ფარული ჩანაწერების რეგულირება და კონტროლი მომავალში.

PS. ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი რეკომენდაცია საკმაოდ დეტალურია. ვაცნობიერებ იმ გარემოებასაც, რომ დაზარალებულთა ინტერესების დაცვისა და იმავდროულად ჩადენილ დანაშაუზე პასუხიმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მისაღწევად შესაძლებელია, სხვა მეთოდებიც არსებობდეს.. ამიტომ, ამ საკონსულტაციო დოკუმენტს წინასწარი რეკომენდაციების სახით გთავაზობთ და

ვაცხადებ, რომ მზად ვარ მომავალშიც ღიად გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები ამ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

დასასრული